საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №166

2019წ. "11" 07

ქ.თბილისი

სსიპ - შოთა მესხია ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 28 ნოემბრის №173-ე გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 15 მაისის №19 გადაწყვეტილებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - შოთა მესხია ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2018 წლის 28 ნოემბრიდან მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 11 ივლისის №43 ოქმის მესამე ნაწილი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 28 ნოემბრის №54 ოქმის მეშვიდე ნაწილი და 2018 წლის 28 ნოემბრის №173-ე გადაწყვეტილება ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ნატო გენგიური